ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25

2016 წლის 4 მარტი

ქ. ზუგდიდი

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის გზით წარმოდგენილი და მოწონებული პროექტების ფინანსური მხარდაჭერისა და შერჩევის კომისიის დებულებისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 თებერვლის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის გზით წარმოდგენილი და მოწონებული პროექტების ფინანსური მხარდაჭერისა და შერჩევის კომისიის დებულებისა და შესაბამისი ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 თებერვლის №17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/02/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.170.016178) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) კომისია შედგება ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისაგან;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **გიორგი თოდუა**
მოვალეობის შემსრულებელი